საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №35

ქ. ბათუმი 24 მაისი, 2017 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 04 აპრილის №01-08/18 ბრძანების, საკონკურსო კომისიების ოქმებისა და საკონკურსო მასალების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 04 აპრილის №01-08/18 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი და ბსუ-ში **2017 წლის 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

ა) სოციალური მეცნიერებების მიმართულებით - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საჯარო ინფორმირებისთვის სახელმწიფო ენის გამოყენების პრაქტიკის კვლევა", ხელმძღვანელი: პროფ. მურმან გორგოშაძე **(დანართი №1)**;

ბ) ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით - „ბათუმი 1917-1920 წლებში (პ. მასლოვის მოგონებების მიხედვით)“, ხელმძღვანელი: ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ისტ. დოქტ. ნუგზარ ზოსიძე **(დანართი №2)**;

გ) ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით - „აჭარაში ინტროდუცირებული და ზოგიერთი ენდემური მცენარეების ნაყოფის გადამუშავების დროს ბიოაქტიური ნაერთების ცვლილებები“, ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მაია ვანიძე **(დანართი №3)**.

2. ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' და ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული პროექტების განხორციელების მიზნით, ბსუ-ს ბიუჯეტისა და გამარჯვებული პროექტების (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

3. დაევალოს გამარჯვებული პროექტების მენეჯერებს (პროფესორ მურმან გორგოშაძეს, პროფესორ მაია ვანიძეს და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ისტ. დოქტ. ნუგზარ ზოსიძეს) **დადგენილების გამოცემიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარუდგინონ** ბსუ-ს რექტორს პროექტის პერსონალის (თითოეულის ცალ-ცალკე) სამუშაო აღწერილობები გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის მითითებით, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

4. დაევალოს გამარჯვებული პროექტის მენეჯერებს პროექტის განხორციელების დაწყებიდან ნახევარი ეტაპის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 5 სექტემბრისა წარუდგინონ:

ა) პროგრამული ანგარიში - აკადემიურ საბჭოს;

ბ) ფინანსური ანგარიში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს (პროექტის მენეჯერებს, რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელი პერსონალს/ფაკულტეტებს).

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**